საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების: გ. ფოფხაძის; გ.ხატიძის; გ.მაჭარაშვილის; ს.კილაძის; რ.კაკულიას; ე.ბესელიას; მ.მდინარაძის; ლ.კობერიძის; მ.ქარაიას; ე. მაჭავარიანის; დ.მათიკაშვილის; ვ.ზარდიაშვილისა და ნ.გოგუაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები:

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

და

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

(07-3/78; 22.06.2017)

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: გ. ფოფხაძის; გ.ხატიძის; გ.მაჭარაშვილის; ს.კილაძის; რ.კაკულიას; ე.ბესელიას; მ.მდინარაძის; ლ.კობერიძის; მ.ქარაიას; ე. მაჭავარიანის; დ.მათიკაშვილის; ვ.ზარდიაშვილისა და ნ.გოგუაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტებისთვის საქართველოს პარალმენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მხარი დაეჭირა იმ დათქმით, რომ თუ ქვემოთჩამოთვლილი პრინციპული საკითხები არ შეჯერდება და კომიტეტისთვის მისაღები ფორმულირება არ იქნება წარმოდგენილი, კომიტეტი იტოვებს უფლებას მეორე მოსმენით განხილვისას კანონპროექტებს მხარი არ დაუჭიროს.

კომიტეტმა გამოყო შემდეგი პრინციპული და შესაჯერებელი საკითხები:

- **სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი:**

კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია გაიმართოს დამატებითი კონსულტაცია იმ მთავარ პრინციპთან მიმართებაში, რომელიც გადაწყვეტილების კონსენსუსის საფუძველზე მიღებას შეეხება, როგორც ბიუჯეტის, ასევე ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

- **დამწყები საწარმოების (სტარტაპების) წახალისების საკითხი:**

კომიტეტის პოზიციით არსებობს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, რომელიც მიმართულია სხვადასხვა კერძო ბიზნესის მხარდასაჭერად. შესაძლებელია ამ პროგრამების ფარგლებში გაჩნდეს ისეთი სეგმენტი, რომელიც მიმართული იქნება ტელე-, რადიო- და ონლიან პროდუქციის ინოვაციური განვითარების სტიმულირებისკენ, რომელიც ასახულია პროექტში.

- **კომერციულ რეკლამასთან დაკავშირებული საკითხი:**

კომიტეტისთვის დამატებით დასაბუთებას საჭიროებს კომერციულ რეკლამასთან დაკავშირებული საკითხი. მნიშვნელოვანია სათანადოდ განიმარტოს თუ რამ გამოიწვია კომერციული რეკლამისთვის განკუთვნილი დროის ხანგრძლივობის ზრდა და რა გავლენას იქონიებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კომერციული რეკლამის განთავსება კონკურენტულ გარემოზე.

რაც შეეხება, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანას, კომიტეტის პოზიციის თანახმად, წარმოდგენილ მაგალითებში ნათლად უნდა ჩანდეს სრული სურათი სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის, თითოეული კერძო ტელევიზიის საერთო ბიუჯეტისა და სარეკლამო ბაზარზე მისი ხვედრითი წილის შესახებ თანხობრივი გამოხატულების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მაგალითი არ არის სრულყოფილი.

- **სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებული საკითხი:**

კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებით დამატებითი კონსულტაციების გამართვა და ამ კონსულტაციების დროს სოციალური რეკლამისთვის გამოყოფილ დროის ნაწილზე მსჯელობის შესაძლებლობა.

რომან კაკულია

კომიტეტის თავმჯდომარე